№ 225. 25 ოკტომბერი, შაბათი. 1866—1880 25 ოკტომბერი, შაბათი. № 225.

რედაქცია
ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლორთქიფანიძის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ხელისმომწერთათვის: Въ Тифлисъ, въ ре[illegible] „Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე | „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე | „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან, 6

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
[illegible] 1 კაპ., [illegible]

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

პირველი ღვინობისთვიდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს სამი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**უაშინგტონი**, 23 ოკტომბერს. გარფილდი დიდ-ძალის ხმის უმეტესობით ამოირჩია რესპუბლიკის კონგრესმა ჩრდილოეთ ამერიკის შტატების რესპუბლიკის პრეზიდენტად.

**რომი**, 23 ოქტომ მენტანასთან მომხდარის ბრძოლის სახსოვრად გამართული დღესასწაული მშვიდობიანად გათავდა; ყველაზე შესანიშნავი სიტყვა როშფორმა წარმოსთქვა. იტალიის მინისტრთა რჩევამ მოიწონა ფინანსის მინისტრის წინადადება, რომ მაღლა-ტანებული კურსი ქაღალდის ფულისა მოასპოს.

---

### პასუხი ბატ. ეფიმოვსკის

ტფილისი, 24 ოქტომბერს.

„კავკაზის“ ქე-№ 282 დაბეჭდილი სტატია ბატ. ეფიმოვსკისა წავიკითხეთ და ბევრიც ვიცინეთ! ფლისტი-ფლუსტებით ახლა აღარავინ მოსტყუვდება! მადლობა ღმერთს, წავიდა ის დრო, როდესაც ზოგიერთა ხელ-ჯოხიანი ხელოსნები განგებ ამღვრევდენ წმინდა წყალს, რომ თევზები უფრო ადვილათ დაეჭირათ!... ოღონდ კი მაღალ ფარდებთან გამოსულიყვნენ პირ-წმინდათ და მათთვის სულ ერთი იყო, რაც უნდა დღე დადგომოდა იმათ სამოურაოს. ხალხის ჭირი მათთვის ლხინი იყო...

ვიმეორებთ წავიდა ის დრო, მაგრამ ჯერ თურმე ვერ შეუტყვია ბატ. ეფიმოვსკის და მისთვის დაუწერია ის სტატია „კავკაზში“, რომლითაც ამტკიცებს თავის ერთგულებასა და ზრუნვას მისის სამოურავოსადმი. „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ ნათქვამია; მაგრამ, ვინ იცის, ეგება ჩვენ ვსცდებოდეთ, ის კაცი კი მართალი იყოს და ამისთვის ჩვენ წარმოვადგენთ მხოლოდ საბუთებს და დეე, მაშინ მკითხველმა თვითონ გადასწყვიტოს — ვინ სტყუა და ვინ არა.

ამ თხუთმეტის წლის წინეთ ბატ. ეფიმოვსკიმ არ მიიღო ის ფული რომელიც დანიშნული იყო შორაპნის გზის გასაკეთებლათ. „ჩემის საშუალობით მოვახერხებ იმის გაკეთებასაო“ სთქვა და კიდეც მიიღო მადლობა. მაშინვე აირჩია რამოდენიმე პირი, მიანდო მათ მოთავობა და იყო ხალხის გაწვევა გზის სამუშაოთ. იმ მუშაობაში თავად-აზნაურობას არ მიუღია მონაწილეობა. მარტო გლეხობას, მარტო მუშა ხალხს დააწვა ის უღელი და ეს თხუთმეტი წელიწადია არც გზა გაკეთდა და არც ხალხს ეშველა რამე.

რა მიზეზია, რომ ერთი გზა ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ვერ გათავდა? ის, რომ გზა მხოლოდ ხერხით იყო გამოგონებული: როდესაც დადგებოდა ჰალო მუშაობისა, მაშინ, მხოლოდ მაშინ გამოუცხადებდნენ ხოლმე გლეხებს: „წადით თქვენის ხარჯითა და იარაღით გზის სამუშაოთ და თუ არ გინდათ წასვლა, სახსარი გამოიღეთ და თავისუფალი ხართო!..“ ვისაც კი მოხერხება ჰქონდა, რომ სამუშაო დრო არ დაეკარგა და სრულიად არ დაღუპულიყო უკანასკნელ ცოლის პერანგსა ჰყიდდა და თავს იხსნიდა; საწყლები კი მიჰყავდათ გზის სამუშაოთ, თითო-ოროლა კაცი და ამითი რას გახდებოდნენ...

ახლა ამასა გკითხავთ:—ის სახსარი ფული სად გაქრა? რატომ არავინ დაიჭირავეთ იმ ფულებით? როდესაც ილაჯ გაწყვეტილი ხალხი გევედრებოდა: გვიშველეთ! ზადაგვახდევინეთ ერთბაშათ ფულათ, რაც შეგვხვდება კომლზედ, ან წლიური გადასახადი დაგვადევით, ან ერთად გაგვიყვანეთ და გაგვათავებინეთ ეს გზა და მაგის ბარობით კი ნუ გვტანჯავთო,—რატომ პასუხს არ აძლევდით ამ თხუთმეტის წლის განმავალობაში? როდესაც ზოგიერთ მამასახლისებმა მოგახსენესთ, რომ ხალხი ილუპება და ველარ გადიან სამუშაოთო, მაშინ ჯოხზედ რათ მიდგა საქმე და რათ გამოსცვალეთ ის მამასახლისები?—როდესაც მოსეშვილმა, ჩუბინიძემ და კამპ. დაიწყო ქვა-გუნდის გატანა ყვირილის გზით და, როგორც თქვენა ბრძანებთ, კიდეც გადაიტანა 200,000 ფუთი, რატომ მაშინ არ დაიჩქარეთ იმ გზის გაკეთებას და გულ-გრილათ უყურებდით, როდესაც იმ საწყლებს გზის სიცუდისაგამო ცხენები და ურმები ემტვრეოდათ?

თუ კი აქამდი არც ხალხისთვის და არც ამ მოსეშვილს კამპანიისათვის არ დაინახეთ საჭიროთ იმ გზის გაკეთება ახლა რაღა მოგეზმანათ, რომ სხვა კამპანიის გულისათვის სადაც, თქვენ თვითონ მოურავი ბრძანდებით, აკეთებინებთ ხალხს იმისთანა გზას, რომელიც გარდა მერცენფელდისა და ვახტერის კომპანიისა არავისთვის არ არის საჭირო? მერცენფელდმა და მათ გვარმა თავისუფალმა კერძო პირებმა რაც უნდა ქნან, კიდევ არაფერი, მაგრამ, როდესაც ერთის მხრით თქვენ და მეორეს მხრით საგლეხო სასამართლოს წევრები მიდიხართ და ძალას

---

«დროების» ფელეტონი, 25 ოკტომ.

### მგზავრის შენიშვნები

(შილდიდამ საგურამომდის)

(გაგრძელება *)

თეიმურაზი გვარწმუნებს, რომ ალვანის მინდორზედ ძველად ფრიად დიდი ქალაქი იყოვო „ალვანიად“ წოდებული „და ამის გამო სრულიად კახეთისა საზღვართა, ვიდრე კასპიის ზღვამდე ალვანიად სახელ-ედო“... თავის აზრის დასამტკიცებლად თეიმურაზს მოჰყავს ბერძენთა და ევროპიელთა მწერლების აზრი ამ საგნის შესახებ (არ კი უჩვენებს, თუ რომელ მწერალთაგან ან თხზულებათაგან):

„რომელნიმე მოაზრეობენ, ვითარმედ მახლობელ ალვანისა სოფლისა ამის წინახსენებულსა, მთასა შინა კავკასიისასა აღმოდიოდა ცეცხლი ადგილით (იქნება იმავე გვარად, როგორც ბაქოს მახლობლად, აფშერონის ნახევარ-კუნძულზედაა?) ფრიად დიდი, რომელიცაო დაშრტა შემდგომად ფრიად ადრით ჟამითგან ქრისტეს მოსვლისა და მის მიერ „ალვანად“ იწოდაო, პირველად ადგილი იგი და შემდგომად ყოველი იგი ქვეყანა...“

შესაწყნარებელია თუ არა ამ გვარი ფილოლოგიური ახსნა, გამოცნობა ფილოლოგებისათვის მიმინდვია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ალვანის მინდორი თუ ახლა არა, ოდესმე უეჭველად შეიცავდა ნავთსა; ამას თვით ადგილ-მდებარეობა და მიწის ნიადავი გვიმტკიცებს...

საჭიროა აქ მოვიხსენიო ის ხალხის გარდმოცემა, რომელიც ცოტად თუ ბევრად „ნაღრა-ხანსა“ და უფრო მეტად კი ალავერდის სობოროსა შეეხება. აი ეს გარდმოცემა:

ალავერდის ქალაში სცხოვრებდა ერთი წმ. ბერი (იოსებ ალავერდელი?). იმ დროსვე „ცხრა-კარაში“ სცხოვრებდა ნაღარა-ხანი. ეს ნაღარა ერთხელ სანადიროდ წავიდა; გაუშვა ქორი, რომელიც გამოეკიდა ერთს ხოხობსა. ხოხობი გაექანა და ბერს შეეფარა კალთაში. მიმინო შემოჯდა ხეზედ და იქიდგან დაუწყო ყურება თავის მსხვერპლსა. ნაღარა-ხანი მივიდა ბერთანა და, როგორ თუ შენ გაბედე ხოხბის დაფარვაო, გაიწოდა მახვილი მოსაკლავად; მაგრამ ხელი მაშინათვე გაუშეშდა. ხანმა რა ნახა ამ გვარი სასწაული, შეევედრა ხელის განძრიელება და დაჰპირდა ყოველის მიცემა, რასაც კი ბერი მოსთხოვდა მას. ბერმა ლოცვის ძალით განჰკურნა ხანი და ჰსთხოვა მხოლოდ ერთის ფიცრის ეკკლესიის აშენება. ხანმა შეასრულა თხოვნა. ეს ეკკლესია იყო წმ. გიორგის სახელზედ. აქ, ეკკლესიის ეზოში ხშირად თამაშობდნენ, ჭიდაობდნენ და ძიძგილაობდნენ პატარა ყმაწვილები. ერთი მათგანი ყოველთვის დამარცხებული გამოდიოდა და, რომ ვერას გზით ვერ გაიმარჯვა, მოიგონა შემდეგი საშუალება: მოსწვა ერბო-კვერცხი და მიიტანა ეკკლესიის კარებთან წმიდა გიორგის მიუტანა მსხვერპლად: ღონე მომეც და გამამარჯვებინეო... ამ დროს ჩამოიარეს აქ მდიდარმა ბერძნის ვაჭრებმა და, რა დაინახეს საყდრის კარებთან ერბო-კვერცხი, ჩამოჰხდნენ და შეექცნენ. როდესაც გაუდგნენ გზასა, ყველანი ავად გახდნენ. ვაჭრები მიბრუნდნენ ბერთანა უამბეს ყოველისფერი და იკითხეს მიზეზი. ბერმა წმ. გიორგის წყრომას მიაწერა მათი ავადმყოფობა. ვაჭრებმა აღთქმა დასდეს, რომ, თუ მორჩებით, დიდს ტაძარს აღვაშენებთ და შევამკობთო. მართლად მორჩნენ და აღასრულეს თვისი აღთქმა ე. ი. აღაშენეს ახლანდელი ალავერდის ტაძარი...

ამაზედ არის მოგონილიო, უმატებს ხალხი, ქართული ანდაზა: „წმ. გიორგის ერბო-კვერცხი არავის შერჩებაო“...

ამ გარდმოცემის მეორე ნახევრით უსარგებლია იმ მხატვარსა, რომელსაც ალავერდის დასავლეთის შესავალ კარების თავზედ დაუხატავს მოთამაშე ყმაწვილები...

*) იხ. „დროება“ № 223 და 224.

ატანთ იმ ხალხს, რომლისაც ბედი და უბედობა თქვენს ხელშია,—ეს კანონია თუ არა?

Თქვენ გგონიათ, რომ ხალხი ამაებს ვერ ხედავს და ვერა გრძნობს ტკივილებს, ხმას არ იღებს? შემცდარი ბრძანებულხართ. Ꮡარგათ ხედავს, მაგრამ იმედი აქვს, რომ ეს საქმე ოდესმე გამოაშკარავდება და მათ ტანჯვასაც ბოლო მოეღება. Ꭺი რისთვის ითმენს ჩუმათ და თქვენც არ უნდა გამოგელოთ ხმა მანამდი და არ უნდა (დაგეწერათ ისეთი თავის ქება „Ꮡავკაზში“ თორემ ხომ იცით, რომ მართლები თავს არ გაგამტყუნებინებდენ.

აკაკი.

### ᎪᏂᎪᏞᎥ ᎪᎷᏴᏋᏴᎥ

ჩვენ შევიტყეთ რომ რუსის საოპერო ტრუპპის მოთავეს ბატ. Ꮺალმს ამ დღეებში სახელმწიფო ხაზინიდამ კიდევ ოც-და-ათი ათას (30,000) მანეთს აძლევენ ზემოხსენებულ ტრუპპის შესანახავად და თეატრის ხელოვნების დასახმარებლად.

Ꭺმას წინათ ორჯერ მიეცა ჩვენი რუსული თეატრის ანტრეპრენიორს ამ გვარივე შემწეობა ხაზინიდგან, ერთხელ 3,000 მან. მისცეს და მეორედ—10,000; ამ ნაირად ამ ორის წლის განმავალობაში ბატ. Ꮺალმმა მიიღო სულ ორმოც-და-თერთმეტი ათასი (51,000) მანეთი!...

Თუ ამასთანავე მიიღებთ მხედველობაში, რომ ბატ. Ꮺალმს დაუსაკუთრეს საზაფხულო Თეატრი თავის გარდერობითა, დეკორაციებითა და სხვა ყველა მოწყობილობით, რომ სომხებს ის თხუთმეტ თუმან ნაკლებ არ აძლევს ზალას და სხვებს ოც-ოც-და-ხუთ თუმანსაც არ სჯერდება თითო საღამოს, რომ კვირაში ხუთი დღე იმის ზალა სავსეა მაყურებლებით, თუ მიიღებთ მხედველობაში ყველა ამას, მიხვდებით, რომ ბატ. Ꮺალმი წაგებაში არ უნდა იყოს, რომ იმან კარგი სასარგებლო საქმე ჩაიგდო ხელში...

* * *

Ꭺმ ოქტომბრის 27-ს Თფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ სასამართლოში უნდა განიხილონ Თფილისის მოამბის“ რედაქტორის თ. Ꮡ. Ꭺ. Ბებუთოვის საქმე, რომელსაც ადრინდელი ცენზორი ბატ. Ბოგაჩოვი უჩივის, რომ ოფიციალურს ქაღალდში, რომელიც იმან Ꮡავკასიის Ꮯენზურის Ꮶომიტეტში წარმოადგინა, შეურაცხყოფა მოაყენაო.

Ꭺმ საქმის თაობაზედ მოწმეებად გამოწვეულნი არიან: ადრინდელი თავმჯდომარე Ꮯენზორის კომიტეტისა ბატ. Ꭰ. Ფურცელაძე, სტამბის პატრონი? მელიქიშვილი და ამავე სტამბის გამგებელი მელვინოვი.

Ꮪაქმე იმაში მდგომარეობს, რომ დადგა თუ არა ცენზორად, ბატ. Ბოგაჩოვმა მოითხოვა, რომ საცენზურო ფურცლები გაზეთისა იმას უეჭველად საღამოს 7 საათამდინ წარუდგინონ გასასინჯავად. „Თფილისის მოამბის“ რედაქტორი თ. Ბებუთოვი ამტკიცებდა, რომ ამ მოთხოვნილობის შესრულება არ შეიძლებაო და ამის თაობაზე ქაღალდი შეიტანა Ꮡავკასიის Ꮯენზორის Ꮶამიტეტში. Ꭺი, ამ ქაღალდში არის, Ბოგაჩოვის საჩივრით, იმის შეურაცხყოფა.

* * *

Ꭰღეს, შაბათს, და ხვალ, კვირას, როგორც გამოცხადებული იყო, მუშტაიდს იქით, რკინის გზასთან იქნება ცხენების დოღი, რომელზედაც, უეჭველია, დიდ ძალი ხალხი დაესწრება.

Ꭺმბობენ, წელს ძალიან ბევრი ცხენები არის სადოღოთ ჩაწერილიო, განსაკუთრებით თათრების ცხენებიო და სახაზინო ელიზავეტ-პოლის ზაოდისა.

* * *

ძლივს, ძლივს Ბომბორის გზა გააკეთეს და ამ დღეებში ინჟენერებმა შეამოწმეს და აკურთხეს კიდეცა. Ბომბორის შოსსეს გაყვანით Თფილისიდამ Თელავამდინ გზა 75 ვერსით შემცირდა, ესე იგი თითქმის ნახევარია იმისი, რაც ადრე იყო, როცა Თფილისიდამ Თელავში მიმავალს სიღნაღზე უნდა შემოევლო. Ꭺმ ჟამად Ბომბორის გზით Თელავამდინ სულ 88 ვერსი იქნება: Თფილისიდამ Ꭴრხევამდინ — 10 ვერსი, Ꭴრხევიდამ Უჯარმამდინ — 25 ვერსი, Უჯარმიდამ Ბომბორის შტაბ-კვარტირამდინ — 19 და Ბომბორიდამ Თელავამდინ — 34 ვერსი.

მართალია, შეამოწმეს, აკურთხეს, მაგრამ, როგორც მცოდნე კაცებისაგან გაგვიგია, ეს გზა ისეთ ალაგებზე გადის და ისე ცუდათ ფუქსავატად არის გაკეთებულიო, რომ მუდამ შეკეთება, მუდამ რემონტი დასჭირდებაო.

* * *

Ბათომიდამ გაზ. „Ꮡავკაზში“ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ ხანებში აქეთკენ ერთობ გახშირდა ქურდობაო. Ꭺმ გარემოებას კორრესპონდენტი იმას მიაწერს, რომ პოლიციას სულ სძინავს, არაფითარ ყურადღებას არ აქცევს და გაჭირების დროს არავის მიეშველება; განსაკუთრებით ღამე, თუნდაც მთელი ქალაქი შემოირბინო, ერთ პოლიციის მოხელესაც ვერსად ნახავთო.

### „ᎠᏒᎾᎬᏴᎥᏚ“ ᏦᎾᏒᏒᎬᏚᏢᎾᏁᎠᎬᏁᏣᎥᎪ

ᏚᎾᏊ. ᏦᏌᏞᎪᏕᎥ, 12 ოქტომბერს. Ꭰღეს სოფელში გაიხსნა ერთ-კლასიანი ნორმალური სკოლა.

მოგეხსენებათ, საზოგადოება [illegible] ძრიელ აღძრულია სწავლა-[illegible]ვილი; ვერ ნახავთ ვერც ერთს თავადს, ვერც აზნაურს ანუ გლეხს, რომელი კუთხისაც უნდა იყოს და რა ხარისხზედაც უნდა იდგეს, რომელსაც ძვალში და რბილში არ ქონდეს გამჯდარი ის მართალი აზრი, რომ უსწავლელი და გაუნათლებელი კაცი ეხლანდელ დროში გროშათაც არა ღირს, და რომელიც ამიტომ მზათ არ იყოს გადაატანოს თავის ქონება, ოღონდ კი მისს შვილს ეღირსოს განათლება.

Ꭰღეს მე Ꮡულასში ერთხელ კიდევ დავინახე, თუ რა საშინელი წყურვილია აქვს საწყალ ჩვენ ხალხს სწავლისადმი. Ꭰღეს ყოველი მაყურებელი დარწმუნდება, თუ რა ზედ-მიწევნით ესმის ჩვენს ხალხს სწავლის ფასი და მნიშვნელობა: გაიგეს თუ არა სკოლა გვეხსნებაო, მთელი Ꮡულაში ქალიან-კაციანათ გამოეფინა მშვენიერს ვაკე ადგილზე, სადაც უნდა აშენდეს დიდი ქვის სახლი სკოლისთვის.

Ꮪასიამოვნო სურათს წარმოადგენდა ეს აჭრელებული საზოგადოება თავადებიდამ და კნეინებიდამ დაწყებული, უბრალო ქალამნიან გლეხამდის და მათ ლურჯ კაბებიან ცოლებამდის! Ყველას რაღაც სიხარული და სიამოვნება ეწერა სახეზე, ყველა შეჰხაროდა ამ დღეს, ვითარცა Ꭺღდგომას. მე გავიგონე ერთი გლეხის ლაპარაკი თავის ამხანაგთან:

— ნეტაი ერთი პატარა Ბოვშათ გადამაქცია, ახლავე ჩავდგე ამ Ბოვშებში!

Ꮃირვა რო მოისმინეს, როგორც ყმაწვილები ისთე მთელი საზოგადოება მიეშურნენ ერთ გაშლილ ადგილს რომელიც Ꮡულაშის საზოგადოებას უყიდნია სკოლისათვის 500 მანეთად, და აქ მომავალი სკოლის საძირკვლის კურთხევის შემდეგ დაბრუნდნენ ახალ გახსნილ სკოლაში. Ꭺქ ადგილობრივ-

---

რა კი Ꭺლავერდის ტაძარზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ ვიტყვით ორიოდე სიტყვას ამაზედაც. Ꭺლავერდის სობორო — ეს საქართველოს ძველ შენობათა გვირგვინი (სივრცით და განსაკუთრებით სიმაღლით: მ. ხელიძის აღწერით, ვგონებ 160 რუსული ადლია), აღშენებულია Ꮡახეთის ქორიკოზის კვირიონისაგან სასანდისაგან (მირიან მეფისაგან 265—342 დაიწყო გვარი სასსანიდებისა) მე-VIII საუკუნეში. (Ꮇრთს რუსულს წიგნში „საქართველოს ეკკლესიების აღწერა“-ში ნაჩვენებია, ვითომ Ꭺლავერდის ტაძარი იყოს აღშენებული 556-ს წელს). Ვახუშტის სიტყვით, Ꭺლავერდი მონასტრად იყო იმ დრომდის, ვიდრე საქართველო სამს სამეფოდ განიყოფებოდა — 1446 წ-მდე. შემდეგ Ꮡახეთის მეფეთ დასვეს აქ ეპისკოპოზი, რომელიც ითვლებოდა ზემო-Ꮡახეთის უმთავრეს ეპისკოპოზად და რომელსაც, პლ. Ꭵოსელიანის მოწმობით, ეკავა მესამე ადგილი მარცხნივ (შემდეგ მცხეთის მთავარ-ეპისკოპ.) საქართველოს კათოლიკოზ და მთავარ-ეპისკოპოზთა შორის. Ꭰაიქცა მიწის-ძვრით Ꮶართლის მეფის როსტომ I-ის (1634—1658 და კახთა მეფის დიდის Თეიმურაზ-ის დროს (1605—1662). Ꮢოსტომმა დაიწყო განახლება და დაამთავრა Ꮡახეთის მეფემ Ვახტანგ V-ის ძემ Ꭺრჩილმა (1664—1675) 1741-ს წ. კვალად ჩამოენგრა გუმბათი მეფის Თეიმურაზ მე-II-ის დროს (1736—1762) და კვალად განახლებულ იქმნა (Ვახუშტ. გეოგრ., გვ. 318)...

Ვახუშტი Ꭺლვანის მინდორს აღიარებს „კეთილ სანადირო ველად“. საკვირველია, რომ Ვახუშტი არასფერს მოგვითხრობს Ꭺლვანში ზემოდ აღწერილს შენობების შესახებ...

Ꭺლვანის თავში, მდ. Ꭺლაზნის პირზედ, იქ, საიდგანაც იწყობა Ꮺანკისისხეობა, მდებარეობს სოფ. Ბახტრიონი, ნაქები თავის ციხე-გალავნით, რომელიც Ვახუშტის სიტყვით „ყოფილ-არს დიდ-შენი და მაგარი, გარნა აწ უქმი“. (Ვახუშტ. გეოგრ., გვ. 320). Ꭺმ დიდშენის გალავანისას ამ ჟამად ვხედავთ ჩვენ მხოლოდ ერთს გვერდ-გამონგრეულს ბურჯსა ზედ Ꭺლაზნის პირზედ, მაღლობ ადგილზედ (თვით სოფელიც მაღლობზედ მდებარეობს). Ბახტრიონთან გადის გზა Ꭺლაზანში ფონით მარჯვნივ—Ꮺანკისის-ხეობისაკენ; ხოლო მარცხნივ კი Ꭺხმეტისაკენ.) Ꭺხმეტაზედ და აქედგან Თიანეთამდის უკვე აღწერილი მაქვს ჩემს „მოგზაურობაში Ꭺრაგვის ხეობაში“, რომელიც დაბეჭდილი იყო ამ წლის მაისში „Დროების“ მც-98, 100, 101, 102 და 107 №№-ში. მაგრამ ორიოდე სიტყვას კიდევ დაუმატებ მაზედ, რაც ცოტაოდენად არ ეთანხმება Ვახუშტსა.

Ꭺ) Ვახუშტი ამბობს: „Ꭺხმეტის ხევის ზევით ერთვის ალაზანს „Უტოს“ ხევი. გამომდინარე Ꮡახეთის მთისა და Ꮺანკისის შუათის მთისაო.“ Ꮛს ხევი გახლავთ ს. მატნის ხევი, რომელსაც ჩვენს დროში „Უტოს“ მაგივრად „Ꭵლტოს“ უწოდებენ. Ꭺქვე ამბობს Ვახუშტი, რომ „Უტოს მოერთვის სხვა ხევიო (სახელს არ ამბობს) და ამ შესართავთან არის მაგარი ციხე Ꮡვეტერისაო“ (გეოგრ. გვ. 320). Ꮛს მეორე ხევი, რომელიც შემოერთვის Ꭵლტოსა, აწ იწოდება „ხევ-გრძელად“. ხევ-გრძელა Ꮺანკისის მთიდგან კი არ გამომდინარეობს, როგორც გვარწმუნებს Ვახუშტი: ამ ხევის სათავე არის იმ მთაში, რომელიც ჰსაზღვრავს Ფრისა და Ꭺლაზნის აუზებსა, ს. საყარაულოს ქვემოდ.

Ბ) Ꭵორზედ ამბობს Ვახუშტი, რომ „Უჯარმას ზევით არს უმეტეს კალმახისა (Ꭵორში). ჩვენს დროში Თიანეთს ქვემოდ Ꭵორში ფრიად იშვიათად-ღა ჰხვდება კალმახი; Თიანეთის ქვემოდ Ꭵორში განსაკუთრებით ფიჩხული, ჭანარი და კაპუეტი ჰხვდება...

Თიანეთის გამოღმიდგან დავუხვიეთ მარცხნივ. Ꭺქ გზა Ꭵვრის პირ-პირ მიჰსდევს. Ꮢადგანაც ამ წლის გაზაფხულზედ აქ წყალ-დიდობა ყოფილა, Ꭵორს სრულიად წაუღია ნახევარი გზები საყარაულომდის; ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა მღვდელმა მ. ჭანდელაკმა გადიხადა პარაკლისი, რომელზედაც დაესწრნენ ყველა წარჩინებული პირები ხსენებული სოფლისა და სხვათაშორის წინანდელ ქუთაისის ღუბერნიის წინამძღოლი ნ. ალექ. მიქელაძე, ადგილობრივი მსაჯული ბ. ხარინსკი და სხვა.

პანაშვიდის შემდევ ქუთ. სახალხო სკოლების დირექტორმა ბ. მარსოვმა წარმოსთქვა სიტყვი, რომელშიაც განუმარტა საზოგადოებას, რომ ის არის ალმასრულებელი სურვილისა მისი იმპერატორებითის უმაღლესობის კავკასიის ნამესტნიკისა, რომელსაც სურს მოფინოს კავკასიაში განათლება; ამ ფრიად სასურველ საქმეში ის მოელის საზოგადოებისაგან შემწეობას როგორც მატერიალურად, ისე სიტყვითა და გავლენით; აუხსნა ხალხს ნორმალური სკოლის მნიშვნელობა და ისიც. რა შედეგი მოსდევს ამისთანა სკოლებს როგორც ყმაწვილებისათვის, აგრეთვე სოფლის მასწავლებელთათვის, რომელთაც შეუძლიან დრო-გამოშვებით მოვიდნენ ამ სკოლაში და შეისწავლონ პრაქტიკულად პედაგოგიური მოპყრობა ყმაწვილთადმი და აგრეთვე გაკვეთილების გარდაცემა.

ამის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა ბ. ალექ. ნიჟარაძემ, ზედამხედველმა აღნიშნულის სკოლისა, რომელშიაც ის დედა-აზრი იყო გამოყვანილი, რომ მხოლოდ საზოგადოების თანაგრძნობით და შემწეობით შეუძლია მას შეასრულოს თავის მძიმე მოვალეობა, როგორც ამ სკოლის მასწავლებლისა და ზედამხედველისა.

ბოლოს წარმოსთქვა, თავის გრძნობიერი სიტყვა თ. ალექ. მიქელაძემ, მან მიმართა თავის სიტყვით თავის თანამოძმეებსა და ძრახავდა მათ ერთი მეორესშუა შურიანობის, მტრობისა და წვრიმალი თავმოყვარეობისაგან საზოგადო საქმეების დაბრკოლებას; განუმარტა მათ, რომ მხოლოდ ერთობით და ძმურის სიყვარულით შეიძლება ქვეყნის კეთილ-დღეობა და არა ცალ-ცალკობით. საზოგადოთ მისმა სიტყვამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვათა შორის თ. ა. მიქელაძემ ერთი მშვენიერი და ადვილათ ასასრულებელი აზრის გამოსთქვა თავის სიტყვაში: მან ურჩია თავად-აზნაურებს და გლეხებსაც, რომ მუდამ წელს მათ გადადვან ქულაშის ნორმალურის სკოლის ღარიბ მოწაფების შესაწევნად და აგრეთვე თვით სკოლის გასაუმჯობესებლად ათის თავი იმ ფულებიდამ, რომელსაც ისინი ხარჯვენ ყოველს ახალ-კვირეს და ნათლის-ღებას ასთე უსარგებლოთ.

ამ დღესვე ქულაშის საზოგადოებამ გამართა სადილი თავის ხარჯით, რომლის დროსაც წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა, მაგრამ მათ-შორის მე აღვნიშნავ მხოლოდ ერთს — თ. დიმიტრი მიქელაძის სიტყვას: დაახლოვებით, მან სთქვა შემდეგი:

— კარგათ მოგეხსენებათო, რომ ჩვენი გლეხ-კაცი, ათასიც ბევრი იმუშაოს, ბევრი იშრომოს და იშოვნოს, მაინც დაცემულია; მას არ აქვს იმდენი შეძლება, რამდენიც ჩვენ, არც იმდენი მოხერხება შეუძლია, რამდენიც ყოველ- ჩვენგანს შეუძლია; ზოგიერთი ჩვენგანი იმდენათ შეძლებულია, რომ არაფრად არ გაუჭირდება თავის შვილების გამოზდა სხვა სასწავლებელშიაც: მაშ იმდენი გულკეთილობა გამოვიჩინოთ, რომ რაც შეიძლება მეტი ადგილები მივსცეთ ამ სკოლაში გლეხ-კაცის შვილებს და ცოტა არის მაინც წამოვსწიოთ წინ ჩვენი თანამოძმეები.

ამ სიტყვას მე მივაქციე მით უმეტესი ყურადღება, რომ ის არის ნათქვამი ერთი უბრალო სოფლის თავადიშვილისაგან, რომელსაც ევროპა არ მოუვლია და არც არაფერი უსწავლია, მაგრამ ეს ძვირფასი აზრი კი მოუპოვია.

60 ყმაწვილი იქმნა ამ თავითავე სკოლაში მიღებული, ბ. მარსოვმა აღუთქვა საზოგადოებას, რომ, თუ ის თავის-თავზე მიიღებს მეორე მასწავლებლის ჯამაგირს, საგაისოთ გახსნის რალლელუ ლ განყოფილებას ამავე სკოლაში, საზოგადოებამ სრული თანხმობა გამოაცხადა ამპირობაზე დაგარდა ამისასთხოვა ბ. დირექტორს, რომ ეს ერთ-კლასიანი სკოლა გადაკეთდეს ორ კლასიანათ ამ ორ წელში. ეს თხოვნაც მიღებული იქმნა, და ეხლა ერთ-კლასიან ხის სახლის მაგიერ ქულაშელები აშენებენ ორ-კლასიან ქვის სახლს, რომელიც არა ნაკლებ ათი-ათასი მანეთის დაუჯდებათ.

ბერლიონ ამიერიძე.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ინგლისის მინისტრმა ჩამბერლენმა გამოუცხადა თავის ამომრჩევლებს, რომ გლადსტონის პოლიტიკა არ შეიცვლებაო, და ინგლისის პატივი მოითხოვს ქრისტიანი ხალხის საზარალის მონებითგან განთავისუფლებასაო.

—

პარიჟიდამ იწერებიან, აქ ფიქრობენო, რომ ჟიულ-ფერრი და ბართელემი სენტ-ილერი ერთად დიდხანს ვერ დარჩებიან სამინისტროშიო, და ამ მოკლე ხანში სამინისტროს რჩევის უფროსად გამბეტტა გახდებაო.

—

ფრანცუზული გაზეთის *Siécle*-ის სიტყვით, მომავალს სხდომებს საფრანგეთის დეპუტატთა პალატისას ბევრი საყურადღებო და საინტერესო საქმეები ექნება განსახილველად. სხვათა შორის განიხილვებიან კანონ-პროექტები შესახებ სწავლებისა, წყრა-ბეჭდვისა, სასამართლოებისა და სხვა.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, აქ ხმა არის გავრცელებული, რომ საიდ-ფაშის სამინისტრო დაიშლებაო; საიდის მაგიერ მაჰმუდ-ნედიმ-ფაშას ასახელებენ. ამბობენ, ვითომც ამ მაჰმუდს გერმანიის ელჩი გაცფელდი მიეწვიოს საქმეებზედ მოსალაპარაკებლად.

—

ცეტინიედამ იწერებიან, რომ რიზა-ფაშა ხელ-ახლავ აგროვებს ერთს ადგილს მხედრობას და წინააღმდეგობაზე აქეზებს ალბანიელებსაო.

—

ინგლისური გაზეთის *Standard*-ის სიტყვით ოსმალოს ქურთების შეიხს აბდულ-ლახს (იხ. „დროება“ № 213) თავის-თავი დამოუკიდებელ მთავრად გამოუცხადებია და დამოუკიდებელის სამთავროს შესადგენად მოუწვევია ოსმალოს და სპარსეთის ქურთები.

—

„*Times*“-ის სიტყვით, ირლანდიის სამიწაწყლო საქმეთა კავშირის (ლიგი) მოთავეების სამართალში მიცემა გადაწყვეტილი საქმეა.

—

აღმოსავლეთის რუმელიაში 14 ოქტომბერს დაწყებულა პროვინციალური სხდომები. ალეკო-ფაშას ყურადღება მიუქცევია უპთავრესად საფინანსო კანონ-პროექტებისათვის.

---

სათვის მოგზაური იძულებულია 6—7 ჯერ გავიდ-გამოვიდეს იორში და რიყე-რიყე იმგზავროს. აქ ივრის ხეობა, ვახუშტის თანხმობით, ფრიად ვიწრო და ადგილ-ადგილ ტინიანია. მთის სერები ამ ხეობისა მოფენილია პატარ-პატარა ფშავლის სოფლებითა. აქ უფრო სთესვენ სიმინდსა და ფეტვსა. აქაური სიმინდი ფრიად დაბალი იზრდება, ასე რომ ტარო თითქმის მიწაშივე, ძირკვებთან აქვს გამოტანილი; ტარო ფრიად პატარაა, როგორც ფუჩეჩი, მაგრამ მაგრი მოსატეხი კია.

საზოგადოდ წელს თიანეთის (ივრის) ხეობაში სარჩო ნაკლებად მოვიდა. მიზეზი იყო ხშირი ავდარი გაზაფხულზედ. რადგანაც აქ ფრიად ნოტიო ადგილია, მოსავალს ხშირი წვიმები ვნებას აძლევენ...

მივედით სოფ. საყარაულოში. ჯერ კარგა მანძილზედ სოფლამდის ივრიდამ დაწყობილია კარგა ფართო და ღრმა არხი, რომელზედაც ჯერ კიდევ მუშაობდნენ. ეს არხი თ. ნ. ჭ—ვაძის გახლავთ. ვერ შევიტყე ამ არხის დანიშნულება. ეს მამული (საყარაულო და სხვები) ეკუთვნის ყვარელ ჭ—ძეებსა. აქვე, მთის კალთაზე მდებარეობს თ. ნ. ჭ—ძის (პალატის თავმჯდომარე) მშვენიერი საზაფხულო პატარა აგარა (სასახლე და სხვა შენობები), გარე მოცული მშვენიერის ჭალაკითა, ბაღითა და სათიბ-ყორულითა.

აქედგან დაიწყობა ერწოზედ გადასავალი მთა, შემოსილი მშვენიერის ტყითა და მდიდარი წყაროებითა. გადავხედეთ, როგორც იყო ერწოს. ფრიად ცუდი ამინდი დაგვიდგა: საშინელი ქარ-ხვინჭა და წვიმა. ამისათვის კარგად ვერ დავათვალიერეთ. მაგრამ შემდეგ გამოდარებისა მთელი ერწო ხელის-გულსავით გამოჩნდა. ერწო წარმოადგენს ფრიად ვაკე, ოვალს მოშიშვლებულს მინდორსა, ოთხსავკუთხივ შემოზღუდულს მთებითა, რომელთა დაბლა ძირები მოფენილია სოფლებითა. თვით ვაკე ადგილი, როგორც მოგახსენეთ. და ერთის მხრივ მთები მოტიტვლეპულია სრულიად; მთები ოდესმე დაბურულნი ყოფილან ხშირის ტყითა; მაგრამ ამ ჟამად ისე გაქაჩლებულან (მეტადრე თბილისის მხრივ) შეშის მზიდველთა და მენახშირეთაგან, რომ ადამიანს გული უკვდება აგრეთის უგუნურის კაცთა მოქმედებითა... მთებზედ რომ შეჰხედოთ, გეგონებათ მურვან-ყრუ შემოჰსევია ერწოს და მთებისათვის ცეცხლი წაუკიდებიაო,—ისე გარემოცულია მთელი ტყე ცეცხლის ბოლითა. ბოლოს შევიტყობთ, რომ აქ ორ-ორის, ან თვითო ვერსტის სიშორეზედ დაბინავებულან ქალაქელი მენახშირეები და ჰსწვავენ ნახშირად უკეთესს ხე-ტყესა, მუხა და რცხილასა! დალოცვილი აქაური მეტყევე (ლესნიჩი) ძალიან კეთილ-გონიერი და ხელმწიფის ერთგული არ ყოფილა!! ნუ თუ ამ გვარს უგუნურს მოქმედებას ყურადღება არ მიექცევა და ბოლო არ მოეღება?!. სხვა ქვეყნებში ცარიელს ადგილზედ ტყეებს აშენებენ, ფრიად სასარგებლოა ტყეო, და ჩვენ კი, ჩვენ, ქართველნი, სადაც ტყე არის, იქაც ვსცდილობთ სრულიად გავანადგუროთ! აკაკი მართალია, როდესაც ამბობს: „ჩვენს დროში ყველაფერი უკუღმააო!“ ნათქვამია რომ: კაცი ბუნებას უნდა ებრძოლოსო, იმ აზრზედ კი არ არის ნათქვამი, რომ რაც ბუნებას გაუჩენია, ყველაფერი უნდა მოვსპოთო; ყველაფერი ხელოვნური უნდა ვიქონიოთო! რასაც სასარგებლოდ ვხედავთ ჩვენთვის—ბუნებისაა თუ ხელოვნებისა, ქართველისაა თუ ჩინელისა, ანგელოზისაა, თუ ეშმაკისა,—ხელი უნდა შევუწყოთ: რაც მავნებელია—თავიდამ მოვიშოროთ! მაგრამ არა—„ჩვენში ყველაფერი უკუღმაა!“ ვიტყვი კიდევ აკაკის სიტყვით...

(დასასრული შემდეგ) №-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებანი

მთავარი კანტორა დანდოგით ამხანაგობისა

## „იაგორ კასუმოვი და ამხ.“

ერევნის მოედანი გ. ჯაყელის სახლი.

ყიდულობს და ჰყიდის ყოველ ნაირ სარგებლიან ქაღალდებს; იძლევა სესხს სარგებლიან ქაღალდების და 5% მოგებითი სესხის ბილეთების გირაოთი ერთიდამ 12 თვემდე. სესხის გადახდა შეიძლება ერთად ანუ თვე-და-თვე გადახდით.

სხვა ბანკებში დაგირავებულნი % ქაღალდები შეიძლება კანტორამ გამოიყიდოს და თვითონვე დაიგიროს სესხის მომატებით.

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებ მოვალეთა შეუძლიათ % ქაღალდები ფოშტით გამოგზავნონ კანტორის სახელობაზედ, და კანტორა დაუყოვნებლივ გაუგზავნის მათ ნაუწყი ადრესით ფულებს და ვასხებითი ხელშეკრულობას.

კანტორა იღებს ფულებს, რომელზედაც იძლევა, პირობათა გამოცლამდე:

| | | |
|---|---|---|
| 1) შემონახულებათა ანგარიშებისამებრ და მოთხოვნილებამდე — | $4\frac{1}{2}$ % | წელ. |
| საპირობო ანგარიშისასამებრ — — | 5 — | |
| 2) 6 თვით ვადით შემოტანილ ფულზე — | $5\frac{1}{2}$ — | წლ. |
| 12) თვის — — — | 7 — | |
| ერთი წლის მეტით — | 8 — | |

3) საგანგებო პირობებით შემოტანილ ფულზე ამხანაგობის 1 ხარისხის პაის პატრონთა. — 9 —

შემოტანილ ფულების % ანგარიში წელიწადში ორჯელ მოხდება, სახელდობრ: 30 ნოემბერს და 31 მაისს; ვადით შემოტანილ ფულებზე კი, შემომტანთ სურვილისამებრ, შეიძლება % თავიდამვე გადახდილ იქმნას.

კანტორაში შეტანილი ფულის თანხა, თუ შემომტანის სურვილი იქნება, ვადის გასვლამდინაც შეიძლება დაბრუნებულ იქმნას: მოთხოვნისა 10 დღის შემდეგ, სარგებლის გამოთვლით წლიური 5 % ზომით, იმაზე უფრო ბევრი რასაც კანტორა იძლევა შემოტანისთანავე,

სხვა ქალაქებში და ტფილისის მიდამო სოფლებში მცხოვრებთ ფულის შემომტანლებს, რომელთაც შესანახავად ფულის შემოტანა სურთ, შეუძლიათ ისინი ფოჩტით გამოგზავნონ და იმათ იმწამსვე გაეგზავნებათ სათანადო მოწმობა.

ამხანაგობაში მყოფ პირებს, ვექსილებით სესხების მიცემის დროს, ცნობილ პირთა თავდებით, კანტორა ახდევინებს:

| | |
|---|---|
| თვე-და-თვე გადასახად სესხზედ — — — — | 10 % |
| კვირაში ერთხელ — | 9 — |

ვადამდე გადუხდელობით სესხი მიეცემა ფირმასთან საგანგებოდ შეთანხმებით.

ჰყიდის მოგებიან 5 % ბილეთს ორივე სესხისას, შემოსატან ვადასახადის დროვებით; ამასთანავე ბილეთის მყიდველს და ხვედრი ფულის ამ რიგად გადამხდელს, მონაწილეობა ექნება მოგებაში, რომელიც შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ხვდეს იმ 20 ნომრებს, რომელიც მოხსენებულია მოწმობაში, ოთხს ტირაჟში.

იღებს შეკვეთას ოდესის ექვს სხვა-და-სხვა ნაირ მშვენიერ თვისების ხარისხის ფქვილზე, ხორბალზე, ქერზე, დიკაზე და სხვ. და სხვ. ზომიერ ფასებით. ამ სანოვაგეთა ნიმუშების ნახვა შეიძლება მთავარ კანტორაში.

სრული და დაწვრილებითი ცნობანი და ახსნა საქმისა, მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე დილის 9—დამ 2—მდე; დღესასწაულობით და კვირაობით დილის 8—დამ 10 საათამდე.

(10—1)

---

კავკასიის ოკრუგის გამგეობა

### წყალში დაღუპვისაგან მშველელ საზოგადოებისა

რომლის დამფარველად ითვლება მისი იმპერატორებით უმაღლესობის ტახტის-მემკვიდრის მეუღლე, გამართავს

ამ კვირას, 26 ოქტომბერს

ალექსანდროვის ბაღში

## სახალხო დღესასწაულს

პროგრამმა დღესასწაულისა:

1) ბაღის ზემო და ქვემო ნაწილის მშვენიერად განათება.

2) ტრანსპარანტი, რომელშიაც გამოსახული იქნება საზოგადოების მოქმედება.

3) ხორო სამხედრო მუსიკისა, მომღერლები და ნაციონალური მუსიკა.

4) სამი დიდი პიეროსტატი სხვა-და-სხვა ფერ ბენგალიის ცეცხლით განათებული.

5) მშვენიერი ფეიერვერკი, ვენზელი საზოგადოების მფარველისა; ვენზელის ორივ მხრით ფანტასტიკური პავილიონები ბრილიანტის აუზებით. დასასრულ ველა სამხედრო მუსიკის ხოროები შეერთდებიან ერთად და დაუკვრენ „ზარიას“ და მთელი ბაღი ბენგალის ცეცხლით გაჩაღდება.

დაიწყება ნასადილევის 4 საათზე

ბაღში შესვლის ფასი 20 კაპ.

---

ახალგაზდა კაცი, მცოდნე ორზომა-იტალიანური ბუხგალტერიისა მსურველია იმეცადინოს სადილს შემდეგ საკუთარს კანტორაშიაცა. ამასთანავე აძლევს გაკვეთილებს, როგორც ბუხგალტერიის ნაწილისა ისე ყოველივე საგნებში პროგიმნაზიის კურსისა.

იკითხოს: 5 უჩასტკაში სურპნიშნის საკუთარ სახლებში, № 17-ში იაკობ ტერ-აკოფოვი.

5—1

---

### თფილისის მაზრის მარშლისაგან

მთავრობის ნება-დართვით, მომავალს ნოემბრის ორსა იქმნება ტფილისში უეზდის თავად-აზნაურთ შეკრებილება, მოსაპოებლად იმ ღონის-ძიებისა, რომლითაც აღიზდებოდნენ ჩვენი შვილები.—

ამისათვის განუცხადებ ტფილისის უეზდის თავად-აზნაურთ და უმორჩილესად ვსთხოვთ მობრძანდნენ ორს მომავალს ნოემბრისას, თორმეტ საათზედ დილით, ტფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკში, სადაც იქნება შეკრებილება.

ტფილისის უეზდის კეთილ შობილთ წინამძღოლი ლ. მაღალოვი.

(6—4)

---

პატენტიანი შრიტკები

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდამ; სარძევე 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—75)

---

ინგლისის მაღაზიაში მიღებულია შეკოლადი და კაკაო ფრაი.

(20—15)

---

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად დაბეჭდილი წიგნი საქართველოს ეგზარხოსის ნებართვით

პოლემიკური საუბარი მღვდლისა ინგილოს ეფენდისთან

თხზულება ს. ბეგიაშვილისა

ფასი 70 კაპ.

10—6

---

### ექვსი თვის ანგარიში

რუისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა

1880 წლისა 1 იანვრიდამ 1 ივლისამდე.

რჩევისაგან შემოწმებული.

1880 წელს 1 იანვარს.

| | მან. კ. | | მან. კ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — | 3,232—64 | სესხათ გაცემული | 6,981—50 |
| ნასესხი — — — — | 2,600— „ | ნაღდი ფული — — | $291—69\frac{1}{4}$ |
| შესანახავათ — — — | 1,065— 2 | | |
| სათადარიგო თანხა — | $25—75\frac{3}{4}$ | | |
| წმინდა მოგება — — | $349—77\frac{1}{2}$ | | |
| | $7,273—19\frac{1}{4}$ | | $7,273—19\frac{1}{4}$ |

1880 წელში.

| შემოსავალი: | | გასავალი: | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — | 636—96 | წილის ფული — | 14—80 |
| სარგებელი აღებული გასესხების დროს | 414—20 | მოგება წილზედ — | $232— 2\frac{1}{2}$ |
| სესხი დაბრუნებული | 4,023—50 | გასესხებულა — — | 5,970—50 |
| ჯარიმა — — — — | 23—64 | სარგებელი ვადას წინათ შემოტ. წილისა | 11—88 |
| სესხი აღებული — — | 3,765— „ | ნასესხნი გარდახდილა | 2,500— „ |
| შესანახავათ შემოტანილი — — — | 360—50 | სარგებელი მისცემიათ | 95—34 |
| სათადარიგო თანხა — | 33— 4 | შესანახავი დაბრუნებიათ | 328—50 |
| | | სარგებელი მისცემიათ | 11—91 |
| | | სამმართველოს ხარჯი | 237—29 |
| | | სხვა-და-სხვა გასავალი | 3—60 |
| | | აღებ-მიცემობისა — | 33— 4 |
| | 9,256—84 | | $9,438—88\frac{1}{2}$ |

1-ს ივლისს იმყოფება 1880 წელსა.

| | | | |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 3854 — 80 | გასესხებულა — — | 8928 — 50 |
| შესანახავათ — — | 1097 — 2 | ნაღდი ფული — — | $109 — 64\frac{3}{4}$ |
| ნასესხი — — — | 3865 — „ | | |
| სათადარიგო თანხა — | $58 — 79\frac{3}{4}$ | | |
| წმინდა მოგება 6 თვისა | 162 — 53 | | |
| | $9038 — 14\frac{3}{4}$ | | $9038 — 14\frac{3}{4}$ |

თავსმჯდომარე თ. ნიკოლოზ დიასამიძე.

წევრნი რჩევისანი: გიორგი მამაცოვი. დ. მამესწარაშვილი გ. კავლელაშვილი ივანე ელიმიევი.

წევრნი მართველნი მიხეილ კლიმიევი. ს. მღებრიშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ 24 Октября 1880 г. Типографя Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.